



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქიმია, სამაგისტრო

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
19 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
26 ივნისი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქიმია
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ქიმიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0531 ქიმია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; გადაწყვეტილება #55 12.03.12

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა ბოჭოიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა ლომამე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	თამთა ცხოვრებამე, შავი ზღვის

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში “ქიმიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. წლების მანძილზე პროგრამამ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რაც დაკავშირებული იყო, როგორც საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ასევე პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების განვითარებასთან. შეიცვალა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან. პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს: მათგან, 90 კრედიტი სასწავლო კომპონენტია, ხოლო 30 კრედიტი კვლევითი კომპონენტის/სამაგისტრო ნაშრომის მოცულობაა. პროგრამაში გათვალისწინებულია სამი კონცენტრაცია: ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმია, მემბრანული პროცესების ფიზიკური ქიმია და ქიმიური ექსპერტიზა. თითოეული კონცენტრაციისათვის განსაზღვრულია 60 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომსაც სტუდენტი ასრულებს კონცენტრაციის მიხედვით. პროგრამაში შეიცვალა და დაიხვეწა სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები, შინაარსი, გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასების სისტემა, განახლდა ლიტერატურა სილაბუსების მიხედვით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად (MES 8 21 0000432353, 29/04/2021), რომლის მიხედვით განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ინგა ბოჭოიძე (თავმჯდომარე), ინგა ლომაძე (წევრი), თამთა ცხოვრებაძე (წევრი), ნიკა გიგაური (წევრი). აკრედიტაციის ვიზიტამდე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება. ვიზიტი გაიმართა ე.წ. „ჰიბრიდული“ მეთოდის გამოყენებით 2021 წლის 19 მაისს.

ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეხვედრები ჩატარდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, პროგრამის

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებისათვის ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ის სასწავლო სივრცე და ლაბორატორიები, სადაც ხორციელდება წარმოდგენილი პროგრამა. ექსპერტები ასევე იმყოფებოდნენ ბსუ-ს ბიბლიოთეკაში, პროგრამაში მითითებული ლიტერატურის გაცნობის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ყველა ის დამატებითი დოკუმენტი, რომლის გამოთხოვაც მოხდა ვიზიტის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. კერძოდ,

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
 - 1.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებაში გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები.

სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 2.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.4. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.2

- გადაიხედოს სწავლის შედეგების ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ კონცენტრაციის მიმართულებით, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

- გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ სწორად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე;

კომპონენტი 2.2

- გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმის სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვროს ის პროგრამის შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში განსაზღვრულ წინაპირობებთან.

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან. სწავლის შედეგების ფორმირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის შედეგების გაზომვის შესაძლებლობა;
- გადაიხედოს სასწავლო კურსის უცხო ენა (ინგლისური ენა B 2.1, ინგლისური ენა B 2.2) კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი, ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან.

კომპონენტი 2.4

- უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის განახლდეს ხელშეკრულება, სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით.

კომპონენტი 5.3

- პროგრამის შედეგების, ანალოგი პროგრამების სწორად შერჩევის, ანალიზის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, დაიგეგმოს პროგრამის განვითარების ღონისძიებები.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.1

- სასურველია უნივერსიტეტის მისიაში და სტრატეგიული განვითარების გეგმაში აისახოს პროგრამის მნიშვნელობა და განვითარების შესაძლებლობები.
- სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ლაკონურად და კონკრეტულად ჩამოყალიბება, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

კომპონენტი 2.2

- სასურველია, უცხო ენის სასწავლო კურსები შემოთავაზებული იქნას ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტის ნაწილში.

კომპონენტი 2.3

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და უზრუნველყოს მისი განთავსება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილოს დამოუკიდებელი მეცადინეობებისათვის გამოყოფილი საათების განაწილების რელევანტურობა.

კომპონენტი 2.6

- სასურველია გამოცდები შედგენილი იქნას შეფასების სხვადასხვა ფორმის, მეთოდებისა და კომპონენტის გამოყენებით, რათა შემფასებელმა მოახდინოს სტუდენტის ცოდნისა და უნარების მაქსიმალურად ადეკვატური შეფასება;
- სასურველია შეფასების სქემები და რუბრიკები იყოს დეტალურად გაწერილი ყველა სილაბუსში, რათა სტუდენტი ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას თუ რა კრიტერიუმების შესაბამისად ფასდება მისი სასწავლო საქმიანობა.

კომპონენტი 3.1

- სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ, სტუდენტთა ცნობიერებისა და უნარების განვითარებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განმტკიცება.

კომპონენტი 3.2

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა, კონსულტაციების ფორმატში მეტი ყურადღება დაუთმონ მაგისტრებისთვის უნარების ჩამოყალიბებას, სამეცნიერო ბაზების გამოყენების და თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით.

კომპონენტი 4.4

- სასურველია, პროგრამის დეტალური ბიუჯეტის შექმნა, სადაც ხელფასებთან ერთად გაწერილი იქნება ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან ქიმიის სამაგისტრო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება.

კომპონენტი 5.1

- სასურველია, უზრუნველყოფილი იყოს თვითშეფასების პროცესში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობა.

კომპონენტი 5.1

- სასურველია, გარე შეფასების მექანიზმების ფარგლებში გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები და განხორციელდეს პროგრამის შეფასება უცხოელი ექსპერტის მიერ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი კომპონენტის შესრულების შესაძლებლობები;
 - სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სხვადასხვა სამეცნიერო გრანტებში და პროექტებში ჩართვის შესაძლებლობები.
 - მისასაღმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოიჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.
-
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმიის“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ასახავს ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის იმ ზოგად ასპექტებს, რომლის მიცემაც არის განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს იმ ფორმით, რომ აღწერილი იყოს წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული მიზნები პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. თუმცა, პროგრამის მიზნების აღწერილობით ნაწილში დაწვრილებითაა ასახული ის კონკრეტული ცოდნა და უნარები, რაც არის ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“ მიზანი. პროგრამის, მათ შორის მიზნების აღწერილობითი ნაწილი მოიცავს გარკვეული თვითშეფასების საკითხებსაც, რაც კურსკურსისთვის ზედმეტ ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს. ამ საკითხთან დაკავშირებით გარე შემფასებელსაც აქვს შესაბამისი რჩევა.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები ასახავს პროგრამის მნიშვნელობას, როგორც თანამედროვე ქიმიური მეცნიერების, ისე სხვა დარგებისთვის და საზოგადოებისთვის, რომელთა განვითარებაში ქიმიას აქვს უმნიშვნელოვანესი როლი.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიის ზოგად პრინციპებს. „ქიმიის“ სამაგისტრო პროგრამის მიზნებით განსაზღვრულია, რომ პროგრამა მისიის შესაბამისად, ითვალისწინებს „თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას და დემოკრატიული პრინციპების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას“. ამ მიდგომებიდან გამომდინარე, განისაზღვრა პროგრამის მიზნები. თუმცა, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რთულია ახსნა, როგორ ითვალისწინებს პროგრამა „დემოკრატიული პრინციპების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბების“ პრინციპს. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის მისია განსაზღვრავს პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებს, თუმცა მათ შორის არ არის „ქიმიის“ მიმართულების პროგრამები. ამასთან, სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“ მიზნები შესაბამისობაშია საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის მისიასთან. კერძოდ, განათლებაზე, ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტირებული სწავლება. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია ფაკულტეტის სტრატეგიით განსაზღვრულ მიმართულებებთან და მათ ხელშემწყობ ღონისძიებებთან.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული კონცენტრაციების

და მათი მიზნების განსაზღვრისას.

პროგრამის მიზნების ზოგად საკითხებში არ არის ასახული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, თუმცა პროგრამა ამ მიმართულებით აქტივობებს ახორციელებს, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად. პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი წინსვლა, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მობილობის და ერთობლივი კვლევების დაგეგმვის და განხორციელების მიმართულებით.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ. მოქმედი პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ბსუ-ს ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტის მისიაში და სტრატეგიული განვითარების გეგმაში აისახოს პროგრამის მნიშვნელობა და განვითარების შესაძლებლობები.
- სასურველია პროგრამის მიზნების უფრო ლაკონურად და კონკრეტულად ჩამოყალიბება, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ითვალისწინებს იმ ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპეტენციებს, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამის შინაარსით. პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-7 დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. წარმოდგენილია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს „ქიმიის“ დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის ძირითად ტენდენციებს, რასაც ასევე ადასტურებს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. პროგრამა ითვალისწინებს სამ კონცენტრაციას, რომელთა სწავლის შედეგები ასევე შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში. თუმცა აქ არის გარკვეული საკითხი, რომლებიც კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონესთანაა თავსებადი. მაგალითად, „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ მიმართულებით, გათვალისწინებულია „ეცოდინება ტექნოლოგიის საფუძვლები და მისი გამოყენების პერსპექტივები“.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე და უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა. პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში ჩატარებულია გამოკითხვები დამსაქმებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელს უწყვეტი კავშირი აქვს დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან. მათი მოსაზრებები განიხილებოდა სამუშაო ჯგუფის ფორმატშიც, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, ხარისხის მართვის კოორდინატორი.

პროგრამის სწავლის შედეგების და შესაბამისი კომპეტენციების შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსების ათვისების ანალიზის შედეგების საფუძველზე და რეგულირდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით ბსუ-ს „აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად. სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტების გამოკითხვის შესახებ, ასევე აკადემიური მოსწრების ანალიზი (ბოლო მონაცემები 2017-18 სასწავლო წლის), ხოლო შემდგომი წლების ანალიზი

წარმოდგენილია პროგრამის პაკეტი. სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების, გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს. დასკვნა და რეკომენდაციები განიხილება დეპარტამენტის და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია შესაბამისი კონსულტაციები. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ასევე, დაინტერესებულ პირთა (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვების შედეგების საფუძველზე.

სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად განიხილება სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც ასახავს, რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების რუკის მიხედვით სასწავლო კურსი „ორგანული რეაქციების მექანიზმი“, რომელიც მე-2 სემესტრში ისწავლება, მესამე დონით გადის შვიდივე სწავლის შედეგზე, ხოლო სასწავლო კურსი „კვების პროდუქტების ანალიზი“, რომელიც მე-3 სემესტრში ისწავლება მეორე დონით ყველა სწავლის შედეგზე. ასევე, „მემბრანული პროცესების ფიზიკური ქიმიის“ კონცენტრაციაში „კომპლექსნაერთთა ქიმია, რომელიც მე-3 სემესტრში ისწავლება, პირველი დონით გადის ყველა სწავლის შედეგზე, ხოლო მე-2 სემესტრის სასწავლო კურსები, მაგალითად „ელექტროქიმია“ მე-2 დონით. ანალოგიური საკითხები იკვეთება სხვა კონცენტრაციების შემთხვევებშიც. სწავლის შედეგების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე.

პროგრამას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, რომელ სემესტრში, რომელი სასწავლო კურსების მიხედვით მოხდება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი. პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, რაც ითვალისწინებს სასწავლო კურსების შედეგების მიხედვით შეფასებას, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომისთვის: I. ლაბორატორიული მეცადინეობა - სასწავლო კურსებში შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სტუდენტები აღნიშნულ კომპონენტში მიიღებენ მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 70-80% -ს. II. პრეზენტაცია-შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სტუდენტთა 70% მიიღებს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 70-80% -ს. III. დასკვნითი გამოცდა - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სტუდენტთა 55% ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში მიიღებს 40 ქულიდან არანაკლებ 30 ქულას; IV. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სტუდენტთა 55% სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას მიიღებს *summa cum laude* შეფასებას. აღნიშნული ნიშნულები, წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, მითითებულია თითოეული სწავლის შედეგისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იღებს მხარდაჭერას, თუმცა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია უფრო მეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. გამოცდები ტარდება კომისიური წესით. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი „გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია“ არ ითვალისწინებს სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდების მექანიზმს, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ უკუკავშირის მიწოდება უზრუნველყოფილია და სტუდენტები ინფორმირებული არიან ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესახებ“ დადგენილება, რომლის დანართი 1-ის შესაბამისად, განხორციელდა რეკომენდაციების შემუშავება, პასუხისმგებელი პირების და შესრულების ვადების განსაზღვრა. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის მიხედვით განხორციელდა ცვლილებები პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში. კერძოდ, მოხდა

კონცენტრაციების ოპტიმიზაცია, ოთხი კონცენტრაციის ნაცვლად წარმოდგენილია სამი კონცენტრაცია; კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციის შესაბამისად, გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, მაგალითად, გაიზარდა „კვლევის ინსტრუმენტული მეთოდების“ კრედიტების რაოდენობა; პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „ორგანული რეაქციათა მექანიზმები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“;
- პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები;
- ბსუ-ს „აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება N23; 20.02.2018;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესახებ“, #104, 27.10.2017.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტების, პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სწავლის შედეგების ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმიის“ კონცენტრაციის მიმართულებით, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ სწორად განისაზღვროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით გადის თითოეულ სწავლის შედეგზე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ქიმიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, დიპლომირებულ სპეციალისტს, მაგისტრს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდებიან ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად. სრულყოფილად წარმოადგენენ ამ წესით დადგენილ დოკუმენტაციას, ჩააბარებენ შიდა

საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენასა და სპეციალობაში და დადგენილ ვადებში გააფორმებენ ხელშეკრულებას ბსუ-სთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასევე, განსაზღვრავს გარე და შიდა მობილობით პროგრამაზე გადასვლის წინაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში, რაც პროგრამის სპეციფიკით არის განპირობებული, სასურველია განისაზღვროს დამატებითი პირობები, რომელიც გულისხმობს რომელი პროგრამის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის, დიპლომირებული სპეციალისტების მიღებაა მიზანშეწონილი, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაშვების წინაპირობების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“;
- ბსუ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამატებით პირობად განისაზღვროს, რომელი პროგრამის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის, დიპლომირებულ სპეციალისტის, მაგისტრის მიღებაა მიზანშეწონილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ შემუშავებულია ბსუ-ს მოქმედი „აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებიდან (80 კრედიტი), 30 კრედიტი საერთო სასწავლო კურსებია, ხოლო 50 კრედიტია პროგრამით გათვალისწინებული სამი კონცენტრაცია: „ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმია“, „მემბრანული პროცესების ფიზიკური ქიმია“ და „ქიმიური ექსპერტიზა“. პროგრამით გათვალისწინებულია ასევე, თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 10 კრედიტი თითოეული კონცენტრაციისათვის. ეს კომპონენტი წარმოდგენილია კურსებით, რომლებიც აღრმავებენ ცოდნას კონკრეტული კონცენტრაციის მიმართულებით. თავისუფალი არჩევითი კურსებიდან უცხო ენების სპეცკურსების გარდა, ყველა კონცენტრაციაში ქიმიის მიმართულების ანუ ძირითადი სწავლის სფეროს კურსებია. ამავე კომპონენტში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 4 უცხო ენიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) B2.1 ან B2.2 დონის ენა 10-10 კრედიტის მოცულობით. პროგრამაში ასევე, 50 კრედიტის ფარგლებში, გათვალისწინებულია პრაქტიკა 5-10 კრედიტის რაოდენობით, კონცენტრაციის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი) კონცენტრაციების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები სემესტრული განაწილების მიხედვით, ლოგიკურადაა დალაგებული. პროგრამის სტრუქტურაში არ არის მითითებული სასწავლო კურსების წინაპირობები. მხოლოდ „ქიმიური ექსპერტიზის“ კონცენტრაციის ორ სასწავლო კურსს „ზოგადი მეტროლოგია, სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის საფუძვლები“ და „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები“ აქვს განსაზღვრული წინაპირობები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სასწავლო კურსების წინაპირობები. სასწავლო გეგმის მიხედვით, წინაპირობა არ აქვს განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომს, თუმცა სილაბუსში წინაპირობა სწორადაა განსაზღვრული, ასევე, ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაშიც სილაბუსში მითითებულია წინაპირობები. მაგალითად, „ელექტრომემბრანული პროცესები და დანადგარები“ სილაბუსში აქვს წინაპირობა „ფიზიკური ქიმია“, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს განსხვავებები ტექნიკური ხასიათის შეცდომაა.

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის ფარგლებში კონცენტრაციების და თავისუფალი კომპონენტების არჩევითობა უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ.

ბსუ-ს წარმომადგენლებთან, დამსაქმებელებთან გასაუბრებისას, სამუშაო ჯგუფისა და

კურუკულუმის კომიტეტის წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე, გამოვლინდა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო გეგმა;
- კურუკულუმის რუკა;
- სამუშაო ჯგუფის და კურუკულუმის კომიტეტის შეხვედრის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სასწავლო გეგმის სასწავლო და კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, განისაზღვროს ის პროგრამის შინაარსის ლოგიკური თანმიმდევრობით და შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში განსაზღვრულ წინაპირობებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უცხო ენის სასწავლო კურსები შემოთავაზებული იქნას ძირითადი სფეროს სავალდებულო კომპონენტის ნაწილში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები და მათი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპეტენციების აღწერის მიმართებით არ არის შესაბამისობაში კურსების შინაარსთან. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს კოპირებას ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერის შესაბამისი კომპეტენციიდან. მაგალითად, „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები“, „ელექტროქიმია“, „ელექტრომემბრანული პროცესები და დანადგარები“, „მემბრანული ტექნოლოგია კვების მრეწველობაში“, „ანალიზური ქიმიის კლასიკური და თანამედროვე მეთოდები“, „სასმელი წყლის ქიმიური ანალიზი და ექსპერტიზა“. ამასთან, ნიშვნელოვანია სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული იქნას იმ ფორმით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი გაზომვა. აგრეთვე, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი“ არ არის ასახული ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა და რთულია გარკვევა, სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, რამდენად შეძლებს სტუდენტი სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე გასვლას.

სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში, მაგალითად „მემბრანული ტექნოლოგია კვების მრეწველობაში“ განსაზღვრულია სტუდენტმა დამოუკიდებელი მეცადინეობის ფარგლებში რამდენი დრო უნდა დაუთმოს მაგალითად, ჯგუფში მუშაობისათვის მომზადებას და ა.შ. მიგვაჩნია, რომ ეს განაწილება არარელევანტურია და საერთო საათების ფარგლებში სტუდენტმა თვითონ უნდა განსაზღვროს, რამდენ საათს დახარჯავს თითოეული სწავლის შედეგის მისაღწევად.

სასწავლო კურსების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ძირითად ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა, მნიშვნელოვანია სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეიცოს უფრო ახალი ლიტერატურით, ლექციების ელ-ვერსიებით ან/და რიდერებით, ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობების მეთოდური ლიტერატურით, რომლებიც განთავსდება, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ისე სტუდენტურ პორტალზე. მათ შორის სილაბუსებში მითითებული ლექციების კონსპექტები პირადი ბიბლიოთეკიდან. თუმცა, სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ აქვთ ამ ლიტერატურაზე წვდომა. სასწავლო კურსებში „დისპერსიული სისტემების ფიზიკური ქიმია“, „ბარომემბრანული პროცესები და დანადგარები“, „ბუნებრივი და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მემბრანული პროცესები“, „მემბრანული აპარატები“, „კვების პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური ანალიზი და ექსპერტიზა“, „მინერალური წყლების ექსპერტიზა“, დამატებითი ლიტერატურა მითითებულია მხოლოდ რუსულ ენაზე. ასევე, „კვების პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური ანალიზი და ექსპერტიზის“ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, პროგრამის წინაპირობის გათვალისწინებით ვერ მოხდება ყველა სტუდენტისთვის ამ ლიტერატურის გამოყენება. სასწავლო კურსის სილაბუსი

“არაორგანული და კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზის მეთოდებში“ საჭიროებს შეივსოს ძირითადი ლიტერატურის ნაწილში დამატებითი წყაროებით, რათა განხორციელდეს ამ სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

გასათვალისწინებელია ის რომ, სასწავლო კურსებში „ინგლისური ენა B 2.1“ და „ინგლისური ენა B 2.2 ში“, არ არის ასახული ლექციების და ჯგუფური მეცადინეობის თემატური შინაარსი და აგრეთვე არ არის მითითებული დამატებითი ლიტერატურა, ორივე დონის შემთხვევაში მითითებულია ერთი სახელმძღვანელოს course book და workbook-ი. ერთ სემესტრში, რომლისთვისაც 10 კრედიტია განსაზღვრული ამ სახელმძღვანელოდან მითითებულია სულ 71 გვერდი, ხოლო შემდეგ სემესტრში ასევე 10 კრედიტის ფარგლებში, გრძელდება იმავე სახელმძღვანელოს 67 გვერდიდან 121 გვერდამდე. უცხო ენის სტატუსთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია აღწერილია 2.2 კომპონენტში, ამასთან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კურსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის კომპეტენციასთან მიმართებაში და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან. სწავლის შედეგების ფორმირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის შედეგების გაზომვის შესაძლებლობა;
- გადაიხედოს სასწავლო კურსის უცხო ენა (ინგლისური ენა B 2.1, ინგლისური ენა B 2.2) კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი, ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და უზრუნველყოს მისი განთავსება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილოს დამოუკიდებელი მეცადინეობებისათვის გამოყოფილი საათების განაწილების რელევანტურობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას.

პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის შერეული მოდელი, გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებსა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის განხორციელებას. სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკულ/ლაბორატორიული სამუშაოები გულისხმობს სტუდენტების მხრიდან თეორიული სწავლების პარალელურად ლაბორატორიებში პრაქტიკული დავალებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებით. გარდა ამისა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მე-3 სემესტრში მოიაზრებს სავალდებულო დამოუკიდებელ პრაქტიკას სამი კონცენტრაციის მიხედვით:

1. პრაქტიკა - კონცენტრაცია ბუნებრივ ნაერთთა ორგანული ქიმია (10 ECTS);
2. პრაქტიკა - კონცენტრაცია მემბრანული პროცესების ფიზიკური ქიმია (5 ECTS);
3. პრაქტიკა - კონცენტრაცია ქიმიური ექსპერტიზა (5 ECTS).

აღსანიშნავია, რომ სილაბუსების შესაბამისად, მითითებული პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება გათვალისწინებულია ბსუ-ს დაქვემდებარებაში არსებულ „დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიულ ცენტრსა“ და „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ სხვადასხვა განყოფილებაში. რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საუკეთესო შესაძლებლობაა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის. ასევე, პრაქტიკის ობიექტია სს „სეიბოლტ-ანალიტ ჰოლდინგ ბ.ვ.-ს წარმომადგენლობა ბათუმში“. აკრედიტაციის ვიზიტის დროს გამოთხოვილი იქნა შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი. წარმოდგენილი ხელშეკრულების ვადა დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, რეკომენდებულია უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის განახლდეს ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით.

გარდა პრაქტიკული კომპონენტისა, ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს „სამაგისტრო ნაშრომის“ (30 ECTS) შესრულებას, რომლის მიზანია სტუდენტმა მოახდინოს სასწავლო კურსით მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში რეალიზება. შეძლოს ექსპერიმენტული მიდგომების გაცნობიერება, კვლევითი სტრატეგიის შერჩევა და პროექტების დამოუკიდებლად შესრულება.

მონაცემების კრიტიკული გააზრება და დასკვნების ჩამოყალიბება აკადემიური პატიოსნების და ეთიკის პრინციპების დაცვით. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტები დამამთავრებელ სემესტრში ასრულებენ, რისთვისაც სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები - 90 ECTS.

ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სამეცნიერო კონფერენციებში და კვლევით პროექტებში. აღსანიშნავია, რომ როგორც დოკუმენტურად, ასევე ინტერვიუს პროცესშიც დადასტურდა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და აქვეყნებენ ნაშრომებს საკონფერენციო კრებულებში, ამასთან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო და კვლევით პროექტებში. ასევე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი და საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბსუ-ის სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს №06-01/90 დადგენილება);
- ბსუ-ის სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება (წარმომადგენლობითი საბჭოს N02 გადაწყვეტილება);
- საწარმოო პრაქტიკისა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტსა და პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის განახლდეს ხელშეკრულება, სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზნისა და ხანგრძლივობის მითითებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში პრაქტიკის გავლის და სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი კომპონენტის შესრულების შესაძლებლობები;
- სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების სხვადასხვა სამეცნიერო გრანტებში და პროექტებში ჩართვის შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში მოცემული სწავლის მეთოდების ანალიზის შედეგად, დასტურდება მეთოდების შესაბამისობა სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამ მიზნით ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზით, მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის სწავლის მეთოდები კონცენტრირებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გამომუშავებაზე და შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს. სწავლების მეთოდების შერჩევისას სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირების მიერ გათვალისწინებულია მეთოდების შესაბამისობა დასახულ მიზანთან, სწავლების მეთოდებისა და სტუდენტთა გამოცდილების ურთიერთმიმართება, საჭირო რესურსები, მათ შორის დროითი და ტექნიკური. სასწავლო კურსებში უმეტესად გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი, რაც კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. ამასთან, ხორციელდება მეთოდების შერჩევის მონიტორინგი და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებულია ლექციის, ლაბორატორიული მეცადინეობის, ჯგუფური მუშაობის, საწარმოო პრაქტიკის მეთოდები. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დაკვირვება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ელექტრონული სწავლება და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლება/სწავლის მეთოდები; ○ სამუშაო ჯგუფის ოქმი, სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობას. დეტალური შეფასების სისტემა და დადებითი და უარყოფითი შეფასების კატეგორიები გაწერილია ყველა სილაბუსში და განთავსებულია უნივერსიტეტის ელექტრონულ პორტალზე, სტუდენტებისათვის თვალსაჩინო ადგილას. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად, მოიცავს შუალედურ გამოცდას 20 ქულის ოდენობით და მიმდინარე შეფასებებს 40 ქულის ოდენობით. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. დასკვნითი გამოცდა განისაზღვრება 40 ქულით. სტუდენტის დადებითი შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა.

შეფასების მეთოდებიდან გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი ტესტები (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), წერითი და ზეპირი გამოკითხვები, პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა (წერითი ან ვერბალური ფორმით) და სხვა. შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტებია: ზეპირი/წერითი გამოცდა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ. თუმცა, ძირითადად შუალედური გამოცდის შეფასების მეთოდად განსაზღვრულია დახურული ტესტური საკითხები, ხოლო დასკვნითი გამოცდა ტარდება კომბინირებული სახით, თეორიული საკითხების ზეპირი გამოცდის ან წერითი გამოცდის ტესტური დავალებების ერთობლიობით. სასურველია გამოცდა შედგენილი იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმისა და კომპონენტის გამოყენებით, რათა შემფასებელმა მოახდინოს სტუდენტის ცოდნისა და უნარების მაქსიმალურად ადეკვატური შეფასება. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია შესაბამისი სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში, თუმცა რიგ შემთხვევებში შეფასების რუბრიკები არ ითვალისწინებს შეფასების წინასწარ განსაზღვრულ ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს შეფასების სქემისა და რუბრიკისათვის. სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით, სასურველია შეფასების სქემები და რუბრიკები იყოს დეტალიზებული ყველა სილაბუსში, რათა სტუდენტი ფლობდეს ინფორმაციას თუ რა კრიტერიუმების შესაბამისად ფასდება მისი სასწავლო საქმიანობა.

შემფასებლისთვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას სხვადასხვა ტრენინგების მეშვეობით. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს შეფასებისა და უკუკავშირის გაზიარების ეფექტური მექანიზმები. შეფასების ობიექტურობის მიზნით, სპეციალურად გამოყოფილი პირი ახდენს დასკვნითი გამოცდების ნაშრომების დაშიფრვას. დაშიფრული ნაშრომები შესაფასებლად გადაეცემა პროფესორ-მასწავლებელს. გამსწორებელი ვალდებულება, უკუკავშირის მიზნით შეფასებულ ნაშრომზე გააკეთოს წერილობითი, განმავითარებელი კომენტარები და განმარტოს, კონკრეტულად რა ხარვეზის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა. შეფასებული ნაშრომი მიეწოდება სტუდენტს გასაცნობად ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აპელაციის წესისა და მექანიზმების შესახებ, მათ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ როგორც ზეპირი ასევე წერილობითი შეფასება. შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს წარადგენს ფაკულტეტის დეკანატში, დარეგისტრირებული საჩივარი კი გადაეცემა ლექტორს. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. ასევე, სტუდენტი მისი განაცხადის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, ახორციელებს საგამოცდო მასალის (საგამოცდო ბილეთები, ტესტები და სხვ.), გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მხედველობაში მიიღება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც. დასკვნა და რეკომენდაციები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. საგამოცდო სესიების შედეგები ყოველი სემესტრის ბოლოს განიხილება დეპარტამენტის სხდომაზეც, ისახება ღონისძიებები სწავლებისა და შეფასების მეთოდების დახვეწასა და სრულყოფასთან დაკავშირებით. სასწავლო კურსის სწავლების განმავლობაში, მიღებული შეფასებები ლექტორის კომენტარებთან ერთად, ეტაპობრივად ისახება სტუდენტთა ელექტრონულ პორტალზე, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს იყოს ინფორმირებული მიღწეული შედეგების, ხარვეზებისა თუ ნაკლოვანებების შესახებ და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე. სტუდენტები ასევე ინფორმირებულნი არიან პროფესორ-მასწავლებელთა საკონსულტაციო ცხრილის შესახებ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების ეთიკური ნორმების და სტანდარტების დაცვას პლაგიატის პრევენციული ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით ხდება სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპების თაობაზე, ხოლო ყველა სამაგისტრო ნაშრომი პლაგიატის სახეების გამოსავლენად მოწმდება ანტიპლაგის პროგრამის მეშვეობით. ამისათვის დაწესებულია იყენებს პლაგიატის გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული სისტემა Turnitin-ს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით, კომისიური წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დადგენილება „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია;
- საკონსულტაციო გრაფიკი;
- ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის №06-01/71 დადგენილება „ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის“ შესახებ;
- პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გამოცდები შედგენილი იქნას შეფასების სხვადასხვა ფორმის, მეთოდებისა და კომპონენტის გამოყენებით, რათა შემფასებელმა მოახდინოს სტუდენტის ცოდნისა და უნარების მაქსიმალურად ადეკვატური შეფასება;
- სასურველია შეფასების სქემები და რუბრიკები იყოს დეტალურად გაწერილი ყველა სილაბუსში, რათა სტუდენტი ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას თუ რა კრიტერიუმების შესაბამისად ფასდება მისი სასწავლო საქმიანობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს. ამასთან, სტუდენტთა ადმინისტრაციული

მხარდაჭერის მიზნით პროგრამის კურატორი ეხმარება სტუდენტებს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. ამასთან, კურატორის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს სტუდენტებს მათი არასასწავლო საქმიანობის სათანადო ორგანიზებაში, რაც ინტერვიუს პროცესშიც დადასტურდა.

აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი. აგრეთვე აღნიშნული სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებს.

ბსუ-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით კი სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ, ასევე მიმდინარე სოციალური პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, კონკურსების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი წრეების არსებობისა და ბსუ-ში არსებული სხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ სამომხმარებლო რესურსების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პორტალის საშუალებით ონლაინ რეჟიმში სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სათანადო ინფორმაცია, სტუდენტური პორტალი გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა, რაც მისასაღებელი პრაქტიკაა.

უსდ-ში სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახდენს ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, თანამშრომლობით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოთავაზებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მზადდება თანამშრომლობის მემორანდუმები და იგეგმება სტუდენტების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში, შესაბამისად პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სემესტრულ მოხილობასა და გაცვლით პროგრამებში. აღსანიშნავია, რომ ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სემესტრული მოხილობის ფარგლებში იმყოფებოდნენ გერმანიაში, ზაარლენდის უნივერსიტეტში და ასევე პოლონეთში, კრაკოვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში.

კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტი ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო კონფერენციებს, ასევე წარჩინებულ სტუდენტთა სტიპენდიის მოპოვება და მოკიდებულია არა მხოლოდ სტუდენტის აკადემიურ წარმატებაზე,

არამედ მის სამეცნიერო აქტივობებზე. ამასთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, ასევე არსებობს სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისების პრაქტიკა. ამასთან ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ საუნივერსიტეტო, სახელობითი და სოციალური სტიპენდიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება;
- სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სამუშაოს აღწერილობა;
- სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი;
- სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი წესი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების ცხრილი;
- სტუდენტური პორტალი - <https://portal.bsu.edu.ge/>;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ, სტუდენტთა ცნობიერებისა და უნარების განვითარებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განმტკიცება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასაღმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დანიშვნას არეგულირებს ბსუ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-14 მუხლის (საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა) მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება სამაგისტრო პროგრამის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. თემის შერჩევა ხორციელდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი. გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ბსუ-ს დოქტორანტი. ამავე წესის მე-16 მუხლი (სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები) აკონკრეტებს ხელმძღვანელის კვალიფიკაციას. კერძოდ, სამეცნიერო ხელმძღვანელი, შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამა „ქიმიის“ სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური ხელმძღვანელებით.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული სამაგისტრო ნაშრომები, რომელთა უმეტესობა თემატიკის და შესრულების მხრივ იყო საინტერესო და გამართული. თუმცა შესამჩნევი გახლდათ ის, რომ ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის ლიტერატურა და შესაბამისი მიმოხილვა, უმეტესად მოიცავდა რუსულენოვან წყაროებს. კარგი იქნება, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, რომლებთან წვდომაც უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო სივრცეში. ამ საკითხთან დაკავშირებით რჩევა გაცემულია ასევე 3.1. კომპონენტში.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს განსაზღვრული აქვთ საკონსულტაციო დღეები და შესაბამისი საათები. განსაზღვრულია კვირაში ორი დღე თითოეული ხელმძღვანელის მხრიდან 2-2 საათით. სასურველია, აგრეთვე ხელმძღვანელებმა უფრო მეტად გამოიყენონ საკონსულტაციო დრო, რათა სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- სამეცნიერო ბაზების სარგებლობის მაჩვენებლები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა, კონსულტაციების ფორმატში მეტი ყურადღება დაუთმონ მაგისტრებისთვის უნარების ჩამოყალიბებას, სამეცნიერო ბაზების გამოყენების და თანამედროვე კვლევების ანალიზთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც

აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ქიმიის მიმართულების 6 აფილირებული აკადემიური პერსონალის (2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი) და 7 მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა დასაქმება უნივერსიტეტში მოხდა მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და ფუნქციებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სტატია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა;), ასევე პერსონალის შთამბეჭდავი მონაწილეობის მაჩვენებლით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში.

უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგია: 1 აკადემიური და 5 ახალი მოწვეული პერსონალი. დენადობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მონაცემები და პერსონალის რაოდენობა ცხადყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შესაბამისია სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სტუდენტთა კონსულტირების და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებების განხორციელებისათვის. უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო დატვირთვას და სხვა დატვირთვას პერსონალის საქმიანობიდან გამომდინარე და ასევე განსაზღვრულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და დატვირთვა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დასტურდება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის აქტივობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში
- "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი" https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8558_1.pdf
- „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბმულზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“ https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8444_1.pdf
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მიმართულებით. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.; შეფასების შედეგები განისაზღვრება უმაღლესი, მაღალი, კარგი და შეფასების გარეშე შედეგით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო მათ მიერ საბოლოო ანგარიში შეფასების შედეგად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რეკომენდაციების სახით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და აკადემიურ საბჭოს. საქმიანობის შეფასების პროცესში აქტიურად გამოიყენება შეფასების ელექტრონული სისტემა (პორტალი), დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით. ელექტრონული პორტალის მრავალფუნქციური მოდული უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტურ მიწოდებას, მუდმივ უკუკავშირსა და განვითარების აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში ასევე ხორციელდება პროფესორ-მასწავლებელთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად პერსონალი აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მივლინების საკითხებს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ფინანსურ წამახალისებელ აქტივობებს როგორც სწავლა-სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო საქმიანობის განსავითარებლად. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შეუძლია მიმართვის საფუძველზე კვლევითი პროექტების დაფინანსების მიღება. უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსს, 2016-2019 წწ. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორციელებული იქნა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული 5 საგრანტო პროექტი, სადაც მონაწილეობდნენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მაგისტრანტები და მაგისტრები. გარდა ამისა, აღსანიშნავია პერსონალის მაღალი აქტივობა და შედეგები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების - ხვალისდელი წარმატებისთვის ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თვითშეფასების ანგარიში; ○ „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ ; ○ „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“; ○ პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესი; ○ სამეცნიერო საგრანტო პროექტები; ○ „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება“; ○ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი“ .
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ბსუ-ს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი და საბიბლიოთეკო რესურსები. ბსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ტექნიკით, სამკითხველო სივრცეებით. უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია

ბიბლიოთეკებისთვის - eIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტებს და თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (<http://search.epnet.com>), Oxford University Journals (<http://www.oxfordjournals.org>), Oxford Reference Online (<http://www.oxfordreference.com>), Royal Society Journals Collection (<http://royalsocietypublishing.org>), BioOne (<http://www.bioone.org>). პერსონალსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა აგრეთვე LLC “CLARIVATE”-ს მონაცემთა ბაზებზე და შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ქსელით. ბსუ-ს ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება.

პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება, ქიმიის დეპარტამენტის სასწავლო ლაბორატორიებში, ხოლო სხვადასხვა საკვლევი სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენება „დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ ქრომატოგრაფიულ ცენტრში“, აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის კვების პროდუქტების უსაფრთხოებისა და ანალიზური ქიმიის განყოფილების კვლევით ლაბორატორიებში და აგრეთვე SGS Georgia Ltd - OGS - სერვის ლაბორატორიაში და S.S. “Seibolt-analit holding b.v.” სერვის ლაბორატორიაში, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობებით: პლაზმური ატომურ-ემისიური სპექტროფოტომეტრით (ICPE-9820); pH-მეტრებით Mettler Toledo; მგრძევეანა საშრობით; საშრობი კარადებითა და მუფელის ღუმელით (Biobase); სანჯღრეველებით; უ.ი.სპექტროფოტომეტრით (UV – 1800); კაპილარული ფორომეტრით (Porolux 500); ანალიზური სასწორებით; მაღალი წნევის თხევადი ქრომატოგრაფიით Waters (UV/Visible Detector 2489, Binary HPLC Pump 1525) (ულტრაიისფერი და ხილული დიაპაზონის დეტექტორით), 2414 RI Detector რეფრაქტომეტრული ინდექსის დეტექტორით, (Fraction Collector) ფრაქციების კოლექტორით, (სხვადასხვა სვეტით); ზემაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფიული სისტემით, მასს-დეტექტორით (Acquity UPLC H-Class Core System, Acquity QDa Single Quadupole Mass-Detector) (სხვადასხვა სვეტით), იზოკრატული კონდუქტომეტრული დეტექტორით (Breeze Isocratic Manual 432 Conductivity Detector) (სხვადასხვა სვეტით) და აირ-სითხური ქრომატოგრაფიით Thermo TRACE 1310 Mainframe 230V (სხვადასხვა სვეტით); სპექტროფოტომეტრით (Beckman); ვაკუუმ-ამორთქლებლებით (ვაკუუმტუმბოთი); pH-მეტრებით (Mettler Toledo); ციფრული რეფრაქტომეტრებით; ციფრული ანალიზური სასწორებით; სუპერკრიტიკული წნევის ფლუიდური ექსტრაქტორით (SFE 100 with 100 ml Pump. Includes); რეგულირებადი გამაცხელებლებით; ულტრაიისფერი ნათების წყაროთი; წყლიანი და ულტრახმოვანი აბაზანებით; წყლის თერმორეგულატორით და ცენტრიფუგით საშრობი კარადებით, მუფელის ღუმელით და სხვა. საგრანტო პროექტები და უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტი იძლევა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

სტუდენტებისათვის ლაბორატორიული რესურსებით წვდომა უზრუნველყოფილია, რომლის შესახებაც მათ აქვთ შესაბამისი ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სასწავლო კორპუსში არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების – ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს მხოლოდ ხელფასების ხარჯვით ნაწილს, საუნივერსიტეტო ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები, ამასთან სასურველი იქნებოდა თავად პროგრამას ჰქონდეს დეტალური ბიუჯეტი, სადაც ხელფასებთან ერთად გაწერილი იქნება ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან პროგრამა

იღებს ფინანსებს შემდეგი ხარჯებისთვის: აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კვლევითი პროექტების დაფინანსება, რეაქტივების, ლიტერატურის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული დანადგარებისა და სხვა ინვენტარის შეძენა, სასწავლო-საველე პრაქტიკის დაფინანსება, სახელმძღვანელოების ბეჭდვის თანადაფინანსება, სტიპენდიებისა და სასწავლო-სოციალური პროგრამების დაფინანსება, გარდა ამისა, ხდება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსება, სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება და სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდო. პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სისტემატურად იღებენ ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო რეაქტივებსა და საჭირო მასალას და სარგებლობენ სტიპენდიებითა და სხვადასხვა ფინანსური დახმარებით.

ამრიგად, ბსუ-ის ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერა. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა კი ეკონომიკურად მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს №07-01/59 გადაწყვეტილება);
- ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი (ადმინისტრაციული ხელმძღვანელის №01-10/13 ბრძანება);
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია გრანტებისა და შესყიდვების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის დეტალური ბიუჯეტის შექმნა, სადაც ხელფასებთან ერთად გაწერილი იქნება ის თანხები, რაც უსდ-ის ცენტრალური ბიუჯეტიდან ქიმიის სამაგისტრო პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის იხარჯება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. აღნიშნული მექანიზმები გულისხმობს უსდ-სა და შესაბამისად პროგრამის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის - ე.წ. „PCDA“ პრინციპის შესაბამისად.

ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ განსაზღვრა სამუშაო ჯგუფის შემდეგი შემადგენლობით: პროგრამის ხელმძღვანელები, დამსაქმებელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მათ შორის დარგის სპეციალისტები, სტუდენტი და კურსდამთავრებულები. ამ ჯგუფში არ იყო ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ამ პროცესში, თვითშეფასების უფრო ეფექტური განხორციელებისათვის. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც შეფასებისთვის გადასცა კურიკულუმის კომიტეტს. კურიკულუმის კომიტეტში, ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“
- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები;
- სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ სასურველია უზრუნველყოფილი იყოს თვითშეფასების პროცესში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, რათა დაიხვეწოს და განვითარდეს საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა და სხვა, განიხილავს მათ და მიღებულ რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით. პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაეგზავნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორ, ციციწო თურქაძეს. პროგრამა შეფასდა დადებითად, თუმცა გაცემული რეკომენდაციები მოიცავდა პროგრამის კურიკულუმში გარკვეული ინფორმაციების დუბლირების საკითხებს, კურიკულუმის უფრო კომპაქტურ და ლაკონურ წარმოდგენას და პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას. სასურველია გარე შეფასების მექანიზმების ფარგლებში გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები და განხორციელდეს პროგრამის შეფასება უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას და თანამშრომლობითი მიდგომებს პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის გარე შეფასების მიზნით, ასევე, მოხდა მისი განხილვა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. პროგრამის განვითარების მიზნით გათვალისწინებული იქნა მათი რეკომენდაციები და განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კურიკულუმში, როგორიცაა კრედიტების რაოდენობის გაზრდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ცვლილებები სასწავლო კურსის თემატიკასა და საკითხების შესაბამისად, შინაარსობრივი მოდიფიკაცია და ცვლილებები კონცენტრაციებში, გაიზარდა პრაქტიკის ხვედრითი წილი და შეიცვალა სასწავლო კურსების სტატუსი. დამსაქმებლები დადებითად აფასებენ დასაქმებულთა კომპეტენციებსა და უნარებს, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: თეორიული ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება და პრაქტიკული ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“
- ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევებისა და გამოკითხვების შედეგები
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება
- ბაზრის კვლევის ანალიზი და დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი, დანართი
- დამსაქმებელთა გამოკითხვა დანართი

○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დანართი
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გარე შეფასების მექანიზმების ფარგლებში გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები და განხორციელდეს პროგრამის შეფასება უცხოელი ექსპერტის მიერ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის პერიოდულად ხორციელდებოდა შესაბამისი მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. მაგალითად, ამ მიზნით ხორციელდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შემდეგ ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს მეცადინეობებზე დასწრებას, გამოცდების მონიტორინგს, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას და შედეგების ანალიზს. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი, კოლეგებთან ერთად, ესწრება

მეცადინეობებს, მონიტორინგის და განმავითარებელი შეფასების მიზნით.

წარმოდგენილ პროგრამის პაკეტში და თვითშეფასების ანგარიშში არ იყო მოცემული ინფორმაცია, ანალოგი პროგრამების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ეს ინფორმაცია. მონაცემები ამ მიმართულებით წარმოდგენილია კონცენტრაციების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ იხსნება ლინკები, ზოგ შემთხვევაში ნაკლებია თანხვედრა და რთულია ახსნა, რასი მდგომარეობს ანალოგია. მაგალითად, მემბრანული პროცესების ფიზიკური ქიმიის მიმართულებით მოცემულია ორი რუსეთის უნივერსიტეტის ლინკები, მათგან ერთი ლინკით მხოლოდ პროგრამის ზოგადი აღწერა იხსნება, ხოლო მეორე ლინკი არ იხსნება. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, ანალოგიურ პროგრამებთან დადარება, რაც დაეხმარება პროგრამას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობაში მოსაყვანად, აუცილებელია ანალოგი პროგრამების სწორი ანალიზი და ამ პროგრამებთან პერიოდული დადარება.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესება დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელ მხარედ. პროგრამას ამ მიმართულებით გაუმჯობესების შესაძლებლობები რეალურად აქვს.

პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით რეაკრედიტაციისათვის განხორციელდა რიგი ცვლილებები პროგრამაში. კერძოდ, სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილებები, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა იხ. www.apa.bsu.edu.ge
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, გამოკითხვები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგების, ანალოგი პროგრამების სწორად შერჩევის, ანალიზის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, დაიგეგმოს პროგრამის განვითარების ღონისძიებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“, მეშვიდე საფეხური
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ინგა ბოჭოიძე

ინგა ბოჭოიძე

სახელი, გვარი,

ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ინგა ლომაძე

ინგა ლომაძე

სახელი, გვარი,

ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე

თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი,

ხელმოწერა

ნიკა გიგაური

ნიკა გიგაური

სახელი, გვარი,